მორიგი ანტიკონსტიტუციური ცვლილებები - საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის პოლიციის წინასწარი ნებართვის პროცედურა დგინდება

20.12.2025

- **ცვლილებების შინაარსი**

„ქართული ოცნების“ პარლამენტმა დაჩქარებული - 3 დღიანი განხილვის შედეგად მიიღო მორიგი ანტიკონსტიტუციური და უფლებაშემზღუდველი ცვლილებები „შეკრებებისა და მანისფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელსაც პოლიცია იმდაგვარად განმარტავს, რომ საჯარო სივრცეში, მათ შორის ტროტუარზეც, შეკრება პოლიციის წინასწარ ინფორმირებას და თანხმობას მოითხოვს. პოლიციას, ასევე, უფლება ეძლევა თავად განსაზღვროს მანიფესტაციის ჩატარების დრო, ადგილი, ან სვლაგეზი. ამ მოთხოვნების დაუმორჩილებლობა 15 და 20 დღიან პატიმრობებს ითვალისწინებს.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ კანომდებლობა შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს სხვა უფლებებისა და თავისუფლებების “არასამართლიანი შეზღუდვის ხარჯზე” უპირობო უპირატესობას ანიჭებს. შესაბამისად, ცვლილებების მიზანია, უზრუნველყოფილი იქნას “სამართლიანი ბალანსის” დაცვა, ერთი მხრივ, შეკრების თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ იმ ადგილებში, სადაც შეკრება ან მანიფესტაცია მიმდინარეობს.

“ბალანსის” დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) დაევალა, რაც ამ უწყების მიერ დამკვიდრებული უფლებაშემლახველი პრაქტიკის გათვალისწინებით გამორიცხავს უფლებებს შორის რეალური წონასწორობის დაცვასა და შეკრების ძირითადი უფლების კონსტიტუციური ფარგლებით განხორციელებას.

- **პოლიციის წინასწარი ნებართვა წინასწარი გაფრთხილების ნაცვლად**

ცვლილებების ძალით, შეკრების თავისუფლების კონტროლის მექანიზმი თვითმმართველობიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გადადის, ხოლო მისი

დარღვევისთვის რეპრესიული მექანიზმები კიდევ უფრო მკაცრდება. კერძოდ, ცვლილებებით დაწესდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხის სავალ ადგილას იმართება ან ხალხის მოძრაობას აფერხებს. პასუხისმგებელმა პირმა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა, უნდა შეიტანოს სათანადო, ხელმოწერილი გაფრთხილება.

სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზების/ჩატარების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, მას შემდეგ, რაც პასუხისმგებელი პირისთვის ცნობილი გახდება სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზების/ჩატარების შესახებ ინფორმაცია.

დაუშვებელი გახდა ხალხის სავალი ნაწილის, მათ შორის ტროტუარის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა. თუმცა კანონი არ განმარტავს, რა შეიძლება ჩაითვალოს ხალხის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე მოძრაობის შეფერხებად, ტროტუარის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვად, რითაც შსს-ს კანონის არაკეთილსინდისიერი გამოყენებისვის ფართო არეალს უტოვებს.

პრაქტიკაში უკვე ამოქმედდა ამ ცვლილებების რეპრესიული ეფექტი, როდესაც 2025 წლის 16 დეკემბერს პარლამენტის შენობის წინ, ტროტუარზე შეკრებილ მოქალაქეებს პოლიციამ მოუწოდა, დაშლილიყვნენ, რადგან, ახალი კანონმდებლობით, შეკრება უკანონო იყო. აქციის ორგანიზატორს კი, რომელსაც 5 დღით ადრე ჰქონდა შეტანილი განცხადება საპატრულო დეპარტამენტში, პოლიციამ განუცხადა, რომ მხოლოდ განცხადების შეტანა არ იყო საკმარისი და რომ პოლიციის წინასწარი ნებართვის გარეშე ტროტუარზე ორგანიზებული აქცია წარმოადგენდა უკანონო შეკრებას.

კანონის მსგავსი ინტერპრეტაცია ცალსახად ანტიკონსტიტუციურია, ვინაიდან კონსტიტუციის 21-ე მუხლი ადგენს, რომ აქციის ორგანიზებას არ სჭირდება წინასწარი ნებართვა და რომ მხოლოდ ცალკეულ, გამონაკლის სიტუაციებში შესაძლებელია შემოღებულ იქნეს შესაბამისი უწყებების წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება.

- **პოლიციას მიეცა უფლება თავად განსაზღვროს მანიფესტაციის ჩატარების დრო, ადგილი, ან სვლაგეზი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა უფლება ორგანიზატორებს თავად განუსაზღვროს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ალტერნატიული დრო ან/და ადგილი ან სვლაგეზი.

მიუხედავად სიტყვა „შეთავაზების“ გამოყენებისა, სინამდვილეში ცვლილების შინაარსი იმპერატიულია.

პოლიციას ასევე მიეცა უფლება, როგორც აქციამდე, ისე მისი მიმდინარეობისას, თავად გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა აქციის დროის, ადგილის ან მარშრუტის შეცვლა. ამის შესახებ პოლიციამ ორგანიზატორებს შეიძლება აცნობოს წერილობით ან თუ აქცია სპონტანურია - ზეპირადაც, რისი შესრულებაც მოქალაქეებისთვის სავალდებულოა.

შესაბამისად, შსს-ს შეეძლება თავად გადაუწყვიტოს მოქალაქეებს როგორ გამოხატონ პროტესტი. მართალია, კანონით დადგენილია პირობები, რომ ამის უფლება შსს-ს ეძლევა მაშინ, თუ შეკრება ან მანიფესტაცია რეალურ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ პრაქტიკაში, სახელმწიფოს შემზღუდველი ნორმები რეალურად არ მოქმედებს.

აღნიშნული შესასრულებლად სავალდებულო მითითება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, თუმცა, გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

- **15 და 20 დღიანი პატიმრობა ტროტუარზე მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვისთვის**

ხალხის სავალი ნაწილის (მათ შორის ტროტუარის) ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება ენიჭება გაფრთხილებიდან 15 წუთის შემდგომ შეკრება ან მანიფესტაცია უკანონოდ ჩათვალოს და მიიღოს გადაწყვეტილება შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის შესახებ.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახედ დადგენილია ადმინისტრაციულ პატიმრობა 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი აქციის ორგანიზატორია - 20 დღემდე ვადით.

უწყვეტი საპროტესტო აქციების ჩასახშობად, ერთპარტიული პალამენტი აგრძელებს კანონების მიღების გზით კონსტიტუციიური უფლებებისა და გარანტიების გაუმართლებელ შეზღუდვებს. აღნიშული ცვლილებები წარმოადგენს არადემოკრატიული საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც უცხო და მიუღებელია საქართველოს სამართლებრივი სისტემისთვის, კონსტიტუციური პრინციპებისა და უფლებრივი სტანდარტებისთვის.